ო ქ მ ი N11

ხობის მუნიციპალიტეტის მეხუთე მოწვევის საკრებულოს ბიუროს სხდომისა

ქ. ხობი **2025 წლის 10 სექტემბერი**

ბიუროს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 11

ბიუროს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 11

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

1. ლევან ქავთარაძე
2. მამუკა ქარდავა
3. გოჩა ქაჯაია
4. ნუგზარ შუშანია
5. მედეა თათარიშვილი
6. ლევანი ლიპარტია
7. დოდო გაბუნია
8. ვლადიმერ ქანთარია
9. ბექა მამაცაშვილი
10. აკაკი მალანია

ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა ლევან ქავთარაძე – საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის რ. ზაქარაიას 2025 წლის 6 ივნისის N50-502517810 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის თორსა-დღვაბის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ საბუკიოს უსახელო ქუჩების სახელდების შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე)

(მომხსენებელი: ბ. მამაცაშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურისა და სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარების კომისიის თავმჯდომარე)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 10, წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვა

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის რ. ზაქარაიას 2025 წლის 6 ივნისის N50-502517810 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის თორსა-დღვაბის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ საბუკიოს უსახელო ქუჩების სახელდების შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე)

(მომხსენებელი: ბ. მამაცაშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურისა და სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარების კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: ბ. მამაცაშვილი - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის თორსა-დღვაბის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ საბუკიოს უსახელო ქუჩების სახელდების შესახებ“ და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ მომზადდა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის თორსა-დღვაბის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ საბუკიოში უსახელო ქუჩებისა და შესაახვევების სახელდების შესახებ“, რაც გულისხმობს სოფელ საბუკიოში არსებული დაუმისამართებელი 3 ქუჩისა და 3 შესახვევის არაბული ციფრებით სახელდებას. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია წარმოდგენილი სახით მისი გატანა საკრებულოს სხდომაზე შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით ხომ არ ექნებოდათ რაიმე სახის მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10, წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდეგ ბიუროს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ლევან ქავთარაძე